

გიორგი კვინიტაძე GUIORGUI KVINITADZÉ

ავტორი დიმიტრი სილაქაძე
Auteur Dimitri Silakadzé

ბროშურა გამოცემულია საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ გიორგი კვინიტაძის სამშობლოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით. გამოცემა ასახავს გენერალ გიორგი კვინიტაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას.

Publication consacrée au rapatriement du Général Guiorgui Kvinitadzé, héros national géorgien. Elle retrace la vie et parcours du Général Guiorgui Kvinitadzé.

თბილისი
Tbilissi
2021

გიორგი კვინიტაძე



გიორგი კვინიტაძე

გიორგი კვინიტაძე დაიბადა 1874 წლის 21 აგვისტოს დაღესტანში, ქალაქ თემირ-ხან-შურაში (ამჟამინდელი ბუჩინაქსკი).

მისი მამა, ივანე კვინიტაძე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. გიორგი კვინიტაძემ ბავშვობა საქართველოში გაატარა და 1892 წელს, თბილისის კადეტთა სასწავლებელი დაამთავრა.

გენერალი, საკუთარ ნაწერებსა თუ ინტერვიუებში, სასწავლებელში ყოფნის ერთ ეპიზოდს სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა. ამ ეპიზოდმა მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა. სოფელ ძეგვში, სასწავლებლიდან გზაზე მიმავალს, მას ძეგველმა გლეხმა უთხრა - გენერალი გახდები, გავციდები და რუსებს გავყრიით.

მომავალი გენერლის ნათქვამზე - რუსები ბევრნი და ძლიერები არიანო, გლეხმა ამაყად უპასუხა, რომ თავისი სახრით ათ კაცს მოერეოდა.

გლეხის ეს სიტყვები, სახლში დაბრუნებულ კვინიტაძეს, მამამაც ისტორიული მაგალითებით დაუდასტურა.

გიორგი კვინიტაძემ, 1892 წელს, კადეტთა სასწავლებლი დაამთავრა, შემდეგ პეტერბურგის კონსტანტინეს სახელობის მეორე სამხედრო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა, რომელიც პირველი თანრიგით დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო.

1894-1895 წლებში მსახურობდა კავკასიის მესანგრეთა ბატალიონში, ხოლო 1895-1904 წლებში ვლადიკავკაზის 152-ე ქვეით პოლკში, ასეულის მეთაურად.

1897 წელს ლეიტენანტის, ხოლო 1901 წელს, შტაბს-კაპიტნის წოდება მიიღო. 1904-1907 წლებში მსახურობდა ციმბირის მე-3 მსროლელი დივიზიის მე-9 და მე-10 ქვეით პოლკებში, ჯერ ქვეითი ასეულის, ხოლო შემდეგ, მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურად.

გენერალი კვინიტაძე 1904-1905 მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში და 1905 წელს მიიღო კაპიტნის წოდება.

1907-1910 წლებში სწავლობდა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიაში, რომელიც პირველი თანრიგით წარმატებით დაამთავრა. აკადემიაში გამორჩეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა მისი წოდების სარგოს ერთი წლის ოდენობით.

გენერალური შტაბის აკადემიის დასრულების შემდეგ, გიორგი კვინიტაძე რუსეთის არმიის გენერალურ შტაბში ჩაირიცხა და სტაჟირებისთვის, ვარშავის სამხედრო ოლქში, მე-17 ქვეითი დივიზიის შტაბში გაიგზავნა.

1910-1911 წლებში მსახურობდა მე-16 გრენადერების პოლკში, ასეულის მეთაურად და 1912 წლიდან ჩაირიცხა გენერალური შტაბის კავკასიის სამხედრო ოლქში ობერ-ოფიცრად.

1914 წლიდან იყო კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის შტაბის გენერალ-კვარტერმეისტერის დაქვემდებარებაში მყოფი შტაბ-ოფიცერი და პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა კავკასიის ფრონტზე.



გენერალი კვინიტაძე ქართველ და გერმანელ სამხედროებთან ერთად 1918 წ.

1914-1915 წლებში იყო თბილისის გამაგრებული რაიონის ჯარების მეთაურისა და დროებითი კომენდანტის შტაბის უფროსი.

1915 წელს, გიორგი კვინიტაძე ყუბანის „პლასტუნთა“ I ბრიგადის შტაბის უფროსი იყო, ხოლო 1915-1917 წლებში, კავკასიის მე-4 მსროლელი ბრიგადის და ამ ბრიგადის გაშლის შედეგად ჩამოყალიბებული მე-4 დივიზიის შტაბის უფროსი.

1915 წელს მიიღო პოდპოლკოვნიკის, 1916 წელს პოლკოვნიკის, ხოლო 1918 წლის 2 მაისს გენერალ-მაიორის წოდება.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გენერალი კვინიტაძე იყო თბილისის გამაგრებული რაიონის შტაბის უფროსი და ხელმძღვანელობდა თბილისის ირგვლივ თავდაცვითი პოზიციების მოწყობას, იმ შემთხვევისთვის, თუ ოსმალთა არმია კავკასიის ფრონტზე გაიმარჯვებდა და თბილისს საფრთხეს შეუქმნიდა.

1915 წელს მონაწილეობდა ალაშკერტის ოპერაციაში, ასევე კერპიკეის ოპერაციაში და 1915 წლის 28 დეკემბრიდან 1916 წლის 8 იანვრამდე, კერპიკეის ოპერაციისას, იყო სანომერის შენაერთის შტაბის უფროსი.

გიორგი კვინიტაძე მონაწილეობდა ერზერუმის ოპერაციაში.

1916 წლის 9-დან 28 იანვრამდე, გენერალი კვინიტაძე ირიცხებოდა კავკასიის პირველ საარმიო კორპუსში, ხოლო ოპერაციის დასკვნით ეტაპზე (29 იანვარი - 3 თებერვალი) იყო დამოუკიდებლად მოქმედი დივიზიის შტაბის უფროსი.

1916 წლის 24 ივნისიდან 25 ივლისის ჩათვლით, ის მონაწილეობდა ერზინჯან-ბაიბურთის ოპერაციაში, თურქესტანის მეორე საარმიო კორპუსის დაქვემდებარებაში.

1916 წლის ივლისის ბოლოდან ნოემბრის დასაწყისამდე, ის მონაწილეობდა ოგნოტის ოპერაციაში. 13 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე, ოპერაციის მსვლელობისას, იყო ოგნოტის შენაერთის (ორი მსროლელი დივიზია და „პლასტუნთა“ ბრიგადა) შტაბის უფროსი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მეორე ნახევარში, გიორგი კვინიტაძე კავკასიის მე-15 მსროლელ პოლკს მეთაურობდა. 1917 წლის ნოემბრიდან, ის კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტერმეისტერის მოადგილე, ხოლო 1918 წლის 14 მაისს, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი გახდა.

რუსეთის არმიაში სამსახურის პერიოდში, სამხედრო წარჩინებისთვის, გიორგი კვინიტაძემ შემდეგი ჯილდოები მიიღო:

- . წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი და წმინდა გიორგის იარაღი
- . წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი ხმლით
- . წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი შემკული ხმლითა და ბაფთით
- . წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი ხმლით
- . წმინდა ანას მესამე და მეოთხე ხარისხის ორდენები
- . წმინდა სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი ხმლითა და ბაფთით
- . წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი.

1917-1918 წლებში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, გიორგი



გენერალი კვინიტაძე ქართველ და გერმანულ სამხედროებთან ერთად 1918წ.

კვინიტაძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული კორპუსის ჩამოყალიბების პროცესში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მცირე ხანს, მას სამხედრო მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

ამავდროულად, ის აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საკითხზე მიმდინარე დისკუსიაში.

გიორგი კვინიტაძის აზრით, აუცილებელი იყო მხოლოდ რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, თუმცა რეგულარული არმიის ჩამოყალიბებამდე, ის სახალხო გვარდიის არსებობის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ რეგულარულ ჯართან მკაცრი კოორდინაციით.

გიორგი კვინიტაძე ითხოვდა, აგრეთვე, სამხედრო სამინისტროს სათავეში მაღალი რანგის სამხედრო პირის დანიშვნას და ჯარის დაკომპლექტების ტერიტორიულ პრინციპზე გადასვლას. 1918



გიორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე თადარიგში მყოფი გენერალი კვინიტაძე, გენერალური შტაბის იმჟამინდელ უფროსთან, გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს ესაუბრა და მზადყოფნა გამოთქვა, მის განკარგულებაში, სადაც საჭირო გახდებოდა იქ ყოფილიყო, იქნებოდა ეს გენერალური შტაბის ნებისმიერი თანამდებობა თუ მზვერავთა ესკადრონის მეთაურობა.

გენერალი კვინიტაძე სადახლო-შულავერის ფრონტის სარდლის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საველე შტაბის უფროსად დაინიშნა. გენერალ მაზნიაშვილმა მას უთხრა - „აჰა, რუქა, ქალაღი, მელანი, ფანქრები და კალმები. აბა შენ იცი.“

გიორგი კვინიტაძემ წარმატებული სამხედრო ოპერაციის დაგეგმვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

1919 წლის თებერვალ-მარტში, გენერალმა კვინიტაძემ ახალციხესა და არტაანში წარმატებული სამხედრო ოპერაცია ჩაატარა, სადაც ე.წ. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის შეიარაღებული ფორმირებები და ადგილობრივი სეპარატისტები დაამარცხა. გენერალი კვინიტაძე ამ ოპერაციის სარდლად მას შემდეგ დანიშნეს, რაც გენერალმა მაზნიაშვილმა, მის ხელთ არსებული მცირე ძალებით, მოწინააღმდეგის შეტევას ვერ გაუძლო და ახალციხე დაკარგა. გენერალმა კვინიტაძემ ახალციხიდან უკანდახეულ ძალებს ბორჯომსა და აწყურს შორის მოუყარა თავი, დაელოდა დამატებით მობილიზაციას, 5 მარტს შეტევაზე გადავიდა და ერთ საათში აწყური აიღო. მოწინააღმდეგე უკან იხევდა და კვინიტაძემ, 7 მარტის დილით, ახალციხე უბრძოლველად დაიკავა, რის შემდეგ მან ფოცხოვი და არტაანი (არდაგანი) აიღო. ამ ომის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ, დამფუძნებელი კრების წევრმა გიორგი ანჯაფარიძემ გენერალ კვინიტაძის საქმიანობა შემდეგნაირად შეაფასა:

„გენერალმა კვინიტაძემ დიდი ხნით გადასწყვიტა მესხეთ-ჯავახეთის ბედი; შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ მან პირნათლად აასრულა თავისი მოვალეობა. როგორია ამ გენერლის პოლიტიკური მრწამსი ჩვენ არ ვიცით. ის თავის საქმის ზედმინევენით მცოდნეა. მას აქვს გარკვეული კურსი, შეურყეველი ლოდიკა, რისი წყალობითაც მან საოცარი დისციპლინა და წესიერება დაამყარა როგორც შტაბში, აგრეთვე მთელ ჯარშიაც. შტაბის მუშაობა ისე სწარმოებს, თითქოს მის გარშემო მშვიდობიანი დროის წესიერება მეფობდეს და არა ომის არეუ-დარევა. განცვიფრებას იწვევს განსაკუთრებით ჯარის დისციპლინა და სულიერი განწყობა. ჩვენი მტერი პარტიზანულ ომს აწარმოებდა; ეს გარემოება აუტანელ

პირობებში აყენებდა ჩვენს ჯარს, მაგრამ ჯარისკაცები და გვარდიელები, ყელამდე თოვლში, უდრტვინველად მიიწვედნენ წინ და საუცხოოდ იბრძოდნენ. მეოთხე პოლკმა, რომელმაც ახალციხის დაკარგვის დროს თავი შეირცხვინა, სავსებით გამოისყიდა თავისი ცოდვა - გმირული ბრძოლით. ერთი მაღლობის აღების დროს 60 კაცი დასტოვა ამ პოლკმა ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი, რაც დიდ პროცენტს შეადგენს. ჩვენი ჯარის გამარჯვება უეჭველი გენერალ კვინიტაძის პიროვნებას უნდა მიეწეროს. ცხადია, რომ ეს გენერალი მტკიცედ ადგას საქართველოს ორიენტაციას“.

გენერალი კვინიტაძე იყო ქართული სამხედრო სკოლის შექმნის მთავარი ინიციატორი, რომელსაც ქართული არმიისთვის მომავალი უმცროსი ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები უნდა მოემზადებინა. გიორგი კვინიტაძე, გარკვეული დროით, თავადაც ედგა სკოლას სათავეში, როგორც ამ სასწავლებლის პირველი ხელმძღვანელი.

1920 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასია დაიკავა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ოკუპაციის სამზადისს შეუდგა. წითელმა არმიამ 1920 წლის 28 აპრილს ბაქო დაიკავა და საქართველოს ოკუპაცია სცადა. ბაქოს დაცემის მეორე დღეს, 29 აპრილს, გენერალი კვინიტაძე შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა და ამავე წლის მაისში, უკვე გასაბჭოებული აზერბაიჯანიდან, საქართველოში შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები დაამარცხა. ომის დასრულების შემდეგ, აგვისტოში, შეიარაღებული ძალების დემობილიზაციის გამო, მთავარსარდლის თანამდებობა გაუქმდა და გენერალი კვინიტაძე თადარიგში ჩაირიცხა. თადარიგში გადარიცხვის წინ მან ოფიციალურად მიმართა რეგულარულ ჯარს და სახალხო გვარდიას, მისი მიმართვა შემდეგი სიტყვებით სრულდებოდა - „, მე უნდა დავადასტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნო, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემულ დავალების შესასრულებლათ ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საკმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებით და მხურვალე გულებით ეკვეთებოდით მტერს. უფროსობა და ხელმძღვანელობა



გიორგი კვინიტაძე

ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცეთ ესმით თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სამხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედნიერება. ჩვენს ძვირფას და სასიქადულო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოიგონებს თავის სახელოვან შვილებს.

ვსტოვებ რა მთავარსარდლის თანამდებობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღვნიშნო თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ხართ ღირსეული შვილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა.

აღსდგენ საქართველოს ძველი გმირები. დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ, გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.”

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის წინ, საბჭოთა რუსეთის დაზვერვა გენერალ კვინიტაძეს ასე ახასიათებდა: „ფიცხი, მამაცი, ჭკვიანი. მისი ტაქტიკა - ალტკინება, შეტევა, ჩინებული მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, დიდი ინიციატივის პატრონი. მან, ერთადერთმა შეინარჩუნა წესიერება თავის ნაწილებში ფრონტზედ ჯარების დაშლის დროს. ბრძოლაში სრული უშიშრობა; იცის მასების გამხნელება და მათი გატაცება. ნერვიული, განუწყვეტლივ ეწევა პაპიროსს. საუკეთესო ოფიცერი ქართული ჯარისა“.

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის მიმდინარეობისას, 16 თებერვალს, მანამდე განცდილი უმძიმესი მარცხის შემდეგ, თანამდებობიდან გადააყენეს გენერალი ილია ოდიშელიძე და მის ნაცვლად, მთავარსარდლად გიორგი კვინიტაძე დანიშნეს.

გენერალმა კვინიტაძემ, მის ხელთ არსებული მცირე ძალებით, თბილისის დაცვა გადაწყვიტა და თბილისის თავდაცვის სამი სექტორი ჩამოაყალიბა.

გიორგი კვინიტაძემ, 18-24 თებერვალს, დედაქალაქზე, რამდენიმე შტურმი მოიგერია და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს.

თუმცა, 24 თებერვლის საღამოს, მან დედაქალაქის დატოვების და მცხეთის პოზიციებიდან ბრძოლის გაგრძელების ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ფრონტის ხაზის შემოკლებას აპირებდა.

კვინიტაძემ ეს გადაწყვეტილება რეზერვის არყოლის და დაუცველი ფლანგებიდან რუსული ცხენოსანი დივიზიების მანევრების გამო მიიღო, რაც, მისი აზრით, დედაქალაქის დამცველებს ალყაში აქცევდა და განადგურებას უქადდა.

თბილისიდან უკანდახევის შემდეგ ჯარის მორალური სულისკვეთება დაეცა და მცხეთის პოზიციებზე გამაგრება ვერ მოხერხდა.

მოწინააღმდეგის დასამარცხებლად კვინიტაძის უკანასკნელი მცდელობა, 4-6 მარტს, ოსიურის ბრძოლაში ჩაიშალა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გიორგი კვინიტაძე მთავრობისა და სარდლობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა.

გიორგი კვინიტაძე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად დამარცხდა, თუმცა ის ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ქვეყნისათვის მებრძოლ გენერლად:

„კოჭრის მთაზე დაფლეთილი
თეთრი დროშა ფრიალებდა
კვინიტაძის ზარბაზნები
ისროდა და გრიალებდა“...

გენერალი კვინიტაძე ემიგრაციაში, საფრანგეთში, პარიზის მახლობლად, შატუში ცხოვრობდა. მას სამხედრო სამსახური არც ერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არ გაუგრძელებია. გარდაიცვალა 1970 წლის 7 აგვისტოს.

პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი შეიარაღებული ძალების შესახებ წერდა: „არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირმშოა ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი. არმია სარკესავით აირეკლავს თავისი ხალხის ყველა კეთილ და მანკიერ თვისებას, მისი ძლიერებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარისხი შეესაბამება ხალხის შინაგანი ძლიერებისა და განვითარების ხარისხს“.



**გიორგი კვინიტაძე ოჯახის ახლო მეგობართან
ივლით მაყაშვილთან ერთად**



საოჯახო ფოტო ქალიშვილებთან ერთად



გიორგი კვინიტაძე მეულლესთან მარიამ მაყაშვილთან ერთად



გიორგი კვინიტაძე



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი

Armoiries de la République Démocratique de Géorgie

GUIORGUI KVINITADZÉ



Giorgui Kvinitadzé

Giorgui Kvinitadzé est né le 21 août 1874 au Daghestan, dans la ville de THEMIR – KHAN-CHOURA (actuelle Bouïnaksk)

Son père Ivané Kvinitadzé, était colonel dans l'armée russe.

Giorgui Kvinitadzé a passé son enfance en Géorgie et en 1892, il a été diplômé du corps de Cadets de Tbilissi.

Tout au long de son existence, dans ses propres écrits ou entretiens, le général a retracé un épisode d'école qui a profondément marqué sa vision de la vie.

Dans le village de Dzegvi, sur le chemin de l'école, un paysan du village lui aurait dit: "Quand vous deviendrez général, vous nous dirigerez et nous expulserons les russes".

Le futur général lui fit remarquer que les russes sont nombreux et puissants et le paysan a répondu avec fierté que tout seul il battrait dix hommes avec son épée.

Rentré chez lui, les paroles du paysan auraient été confirmées par son père avec

des exemples historiques.

Guiorgui Kvinitadzé a été diplômé du corps de Cadets en 1892, puis il a poursuivi ses études à la deuxième école militaire de Constantin à Saint-Pétersbourg dont il est sorti sous-lieutenant avec mention du premier degré.

Il a servi au sein du bataillon de fusiliers du Caucase en qualité de commandant d'une compagnie en 1894 et 1895 puis au 152e régiment d'infanterie de Vladikavkaz entre 1895 et 1904.

Promu lieutenant en 1897 et capitaine d'état-major en 1901, il a été affecté aux 9e et 10e régiments d'infanterie de la 3e division de fusiliers sibérien de 1904 à 1907 comme commandant de compagnie d'infanterie et de compagnie de mitrailleurs plus tard.

Il a participé à la guerre russo-japonaise (1904-1905) et en 1905 Guiorgui Kvinitadzé a été promu capitaine.

Il a repris ses études à l'Académie d'état-major général de Russie de 1907 à 1910 où il a été diplômé avec mention du premier degré et pour ses résultats exceptionnels à l'Académie, il a reçu un salaire d'un an.

Confirmé de l'Académie d'état-major général, Guiorgui Kvinitadzé a été admis à l'état-major général de l'armée russe et a été envoyé pour un stage à la 17e division d'infanterie dans le district militaire de Varsovie.

De 1910 à 1911, il a servi au 16e régiment de grenadiers comme commandant d'une compagnie et à partir de 1912, il est enrôlé dans le district militaire du Caucase à l'état-major général comme officier supérieur.

À partir de 1914, il a été officier d'état-major sous les ordres du général quartier-maître, et il a combattu sur le front du Caucase pendant la Première Guerre mondiale.

Il a été commandant des troupes du district fortifié de Tbilissi et chef d'état-major du commandement provisoire en 1914-1915.

Guiorgui Kvinitadzé a assumé les fonctions de chef d'état-major de la 1ère brigade des Kuban Plastons en 1915, puis également chef de la 4e brigade de fusiliers du Caucase et de la 4e division formée à la suite du déploiement de cette brigade en 1915-1917.

Nommé Lieutenant-colonel en 1915, il a été promu colonel en 1916 et général de division le 2 mai 1918.

Au début de la Première Guerre mondiale, étant chef d'état-major du quartier fortifié de Tbilissi, le général Kvinitadzé a pris le commandement des positions défensives autour de Tbilissi au cas où l'armée ottomane gagnerait sur le front du Caucase et constituerait une menace pour Tbilissi.

En 1915, Guiorgui Kvinitadzé a participé à l'opération Alashkert, ainsi qu'à l'opération Kerpikéi et du 28 décembre 1915 au 8 janvier 1916, pendant



Général Guiorgui Kvinitadzé avec les soldats géorgiens et allemands en 1918

l'opération Kerpikéi, il était chef d'état-major de l'unité Sanomer.

Il a en même temps participé à l'opération Erzerum.

Du 9 janvier au 28 janvier 1916, il s'est enrôlé dans le premier corps d'armée du Caucase et au stade final de l'opération (29 janvier-3 février) il a été chef d'état-major de la division indépendante.

Du 24 juin au 25 juillet 1916, il a participé à l'opération Erzincan-Bayburt au sein du deuxième corps d'armée du Turkestan.

De la fin juillet au début novembre 1916, il a pris part à l'opération Ognot et du 13 août au 11 septembre, au cours de l'opération, il occupait le poste de chef d'état-major de l'unité Ognot (deux divisions de tir et la Brigade de "Plastun").

Après la révolution de Février, dans la seconde moitié de 1917, Guiorgui Kvinitadzé a pris le commandement du 15e régiment de fusiliers du Caucase. Il a été nommé successivement adjoint du général quartier-maître du Front du Caucase en novembre 1917 et commandant en chef de la République transcaucasienne le 14 mai 1918.

Au cours de son service dans l'armée russe, Guiorgui Kvinitadzé a reçu les récompenses suivantes pour ses gloires militaires:

- Ordre militaire de Saint-Georges (quatrième degré) et l'arme de Saint-Georges
- Ordre de saint Vladimir (troisième degré avec épée)
- Ordre de saint Vladimir (quatrième degré avec épée et ruban)

- Ordre de Sainte-Anne (deuxième degré avec épée)
- Ordres de Sainte-Anne (troisième et quatrième degrés)
- Ordre de Saint-Stanislav II (avec épée et ruban)
- Ordre de Saint-Stanislav III.

Avant la proclamation de l'indépendance, Guiorgui Kvinitadzé a activement participé à la formation du corps géorgien en 1917-1918.

Peu de temps après la proclamation de l'indépendance, il a occupé le poste de vice-ministre de la Défense.

Parallèlement, il a joué un rôle significatif dans la discussion en cours sur la formation des Forces Armées de la République.

Guiorgui Kvinitadzé était pour l'instauration d'une armée régulière, tandis qu'avant sa création il ne s'opposait pas à l'idée de la formation d'une garde nationale, gardant la coordination stricte avec une armée régulière.

Guiorgui Kvinitadzé a également exigé la nomination d'un haut militaire à la tête du ministère de la Défense et le passage au principe territorial du recrutement des troupes. Etant en réserve au début de la guerre arméno-géorgienne en décembre 1918, le général Kvinitadzé a eu un entretien avec chef d'état-major général en place, le général Alexandre Andronikashvili et il s'est déclaré prêt à être à sa disposition à n'importe quel moment en cas de nécessité, pour occuper un poste à l'état-major général ou commander l'escadron de reconnaissance.

Le général Kvinitadzé a été nommé chef d'état-major du secteur du général Guiorgui Mazniashvili, commandant du front Sadakhlo-Shulaveri.

Le général Mazniashvili lui a dit : "Voici une carte, du papier, de l'encre, des crayons et des stylos. Bon courage!

Guiorgui Kvinitadzé a ainsi apporté une contribution significative à la planification d'une opération militaire réussie.

En février-mars de 1919, le général Kvinitadzé a mené avec succès une opération militaire à Akhaltsikhé et Artaani, où il a vaincu les formations armées des séparatistes locaux du gouvernement du Caucase du sud-ouest.

Le général Kvinitadzé a été nommé commandant de cette opération suite à la défaite du général Mazniashvili qui, avec ses forces minimes, n'a pas pu résister, à l'attaque de l'ennemi et a perdu Akhaltsikhé.

Le général Kvinitadzé a rassemblé ses troupes entre Borjomi et Atskuri.

Etant en retrait d'Akhaltsikhé et après avoir reçu des renforts supplémentaires, il a lancé le 5 mars une attaque et a repris Atskuri en une heure de temps.

L'adversaire reculait et au matin du 7 mars, Guiorgui Kvinitadzé a occupé Akhaltsikhé sans combat et puis par la suite, il a pris Potskhovi et Artaani (Ardagan).



Général Guiorgui Kvinitadzé avec les soldats georgiens et allemands en 1918

Guiorgui Anjaparidzé, le président de la Commission pour l'étude de cette guerre, membre de l'Assemblée constitutionnelle, a évalué ainsi les activités du général Kvinitadzé :

« Le général Kvinitadzé a décidé pour longtemps le destin de la région de Méskhét-Javakhéti; on peut dire avec certitude qu'il a fidèlement accompli sa mission. On ignore la conviction politique de ce général, mais par contre, on se rend compte qu'il a été un professionnel de haut niveau. Il a une vision nette des choses, une logique inébranlable, grâce à laquelle il a établi une discipline et une décence remarquable tant au sein de l'état-major que dans toute l'armée. Le travail de l'état-major se déroule comme si c'était la paix dans le pays et pas le chaos de la guerre. La discipline et l'état d'âme de l'armée sont particulièrement étonnants. Notre ennemi menait une guérilla; Cette circonstance a mis notre armée dans des conditions insupportables, mais les soldats et les gardiens, dans la neige jusqu'au cou, avançaient sans relâche et combattaient avec beaucoup d'audace. Le 4ème régiment, qui sentait un profond désarroi à cause de la perte d'Akhhaltsikhé, a totalement expié son péché dans une bataille héroïque. En prenant une hauteur, 60 hommes de ce régiment ont été blessés et tués sur le champ de bataille, ce qui représente un pourcentage important. Tout le mérite



Général Guïorgui Kvinitadzé et Kakoutsa Tcholokhachvili

pour la victoire de notre armée en revient à la personnalité du général Kvinitadzé. Il est clair que ce général répond parfaitement aux aspirations de la Géorgie. »

Le général Kvinitadzé a été le fondateur de l'École militaire géorgienne, qui devait former les futurs officiers subalternes et sous-officiers de l'armée géorgienne.

Pendant un certain temps, Guïorgui Kvinitadzé a dirigé lui-même cette école et en a été son premier directeur.

Au printemps 1920, la Russie soviétique a occupé le Caucase du Nord et a commencé les préparatifs pour l'occupation des républiques du Caucase du Sud.

Le 28 avril, 1920, l'armée rouge a occupé Bakou et a essayé d'occuper la Géorgie. Le lendemain, après la chute de Bakou, le 29 avril, le général Kvinitadzé a été nommé commandant en chef des forces armées, et en mai de la même année, il a vaincu les troupes de la 11ème armée de la Russie soviétique, qui avaient envahi la Géorgie par l'Azerbaïdjan déjà soviétique.

Après la fin de la guerre, au mois d'août, et en raison de la démobilisation des forces armées, le poste de commandant en chef a été aboli et le général Kvinitadzé a été inscrit dans la réserve.

Avant d'aller dans la réserve, il s'est adressé officiellement à l'armée régulière et à la Garde Nationale avec les mots suivants:

« Je dois confirmer que vous, les combattants de la Géorgie, avez toujours combattu avec la conscience du haut devoir pour la patrie.

Vous n'aviez pas besoin de vous forcer à accomplir une tâche donnée, il vous suffisait de fixer un objectif et vous avez toujours combattu l'ennemi avec fermeté et avec un cœur fervent.

Le commandement et la direction d'une telle armée, qui aime énormément sa patrie et affirme sa responsabilité envers elle, est le plus grand bonheur pour chaque militaire.

Votre héroïsme et votre courage ont marqué à jamais la mémoire de notre précieuse patrie, elle se souviendra toujours avec reconnaissance de ses enfants distingués.

En quittant mon poste de commandant en chef, je voudrais exprimer tout mon respect et ma gratitude pour votre service héroïque rendu à la patrie.

Vous avez prouvé à maintes reprises que vous êtes à la hauteur de nos ancêtres célèbres.

Les anciens héros de la Géorgie se ressuscitent.

Gloire à la patrie, gloire à vous, vive la Géorgie, vive l'armée glorieuse de notre patrie. »

Avant la guerre russo-géorgienne de 1921, le service secret de la Russie soviétique caractérisait le général Kvinitadzé de la façon suivante:

« Vif, courageux, intelligent. Sa tactique : explosivité, don d'attaque, meilleur connaisseur de la psychologie des soldats, possesseur d'une grande initiative.

Il était le seul à maintenir l'ordre dans ses unités pendant le démantèlement des troupes sur le front.

Il est intrépide dans la guerre, Il sait comment encourager et enflammer les masses.

Nerveux, il fume sans cesse une cigarette sur cigarette.

C'est le meilleur officier de l'armée géorgienne.»

Pendant la guerre russo-géorgienne de 1921 et le 16 février, après la pire défaite, le général Ilia Odishelidzé a été écarté de ses fonctions et Guiorgui Kvinitadzé a été nommé commandant en chef.

Le général Kvinitadzé, avec les forces minimales à sa disposition, a décidé de défendre Tbilissi et a établi les trois secteurs pour la défense de Tbilissi.

Du 18 au 24 février, Guiorgui Kvinitadzé a repoussé plusieurs assauts contre la capitale tout en portant des graves pertes et dommages à l'adversaire.

Cependant, dans la soirée du 24 février, il a pris la décision personnelle de quitter la capitale et de continuer le combat aux alentours de Mtskhéta, avec la volonté de raccourcir la ligne du front.

Cette décision du général Kvinitadzé s'explique d'une part, dans l'absence de la réserve et de renfort et d'autre part, à cause de la topographie des flancs directement exposés au grave danger des manœuvres des divisions de cavalerie de l'armée russe, qui menaçait la Capitale d'assiégement et d'extermination de ses défenseurs.

Après le recul de Tbilissi, le moral de l'armée est tombé et il n'a été plus possible de renforcer les positions à Mtskhéta.

Le dernier effort du général Kvinitadzé de vaincre l'adversaire s'est échoué du 4 au 6 mars dans la bataille d'Osiauri.

Après la conquête de la Géorgie par la Russie soviétique, Guiorgui Kvinitadzé a émigré en France avec d'autres commandants et les membres du gouvernement.

Guiorgui Kvinitadzé a été conquis avec la république démocratique de la Géorgie, mais il est resté dans la mémoire populaire comme le général combattant pour son pays:

Sur la montagne de Kodjori

Flottait le drapeau blanc,

Les canons de Kvinitadzé

N'arrêtaient pas leur hurlement...

Dans son émigration, le général Kvinitadzé vivait en France, à Chatou près de Paris.

Il n'a pas poursuivi d'activités militaires dans les forces armées d'un autre pays.

Le général Kvinitadzé est décédé à Chatou le 7 août 1970.

Le dernier commandant en chef de la première République écrivait à propos des forces armées :

« L'armée est le reflet des qualités de son peuple, car elle est la première née de



Guiorgui Kvinitadzé

ce peuple, de sa chair et de son sang.

L'armée reflète comme un miroir toutes les qualités bonnes ou mauvaises de son peuple - le degré de sa force et de sa capacité de combat correspond au degré de la puissance intérieure et du développement de la nation. »



**Général Guiorgui Kvinitadzé avec une grande amie
Ivdes Makachvili Ma de la famille**



Photo de famille avec ses filles



Général Guiorgui Kvinitadzé avec son épouse Mariam Makachvili



Guiorgui Kvinitadzé



გამოცემულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ

Publiée par le Ministère de la Défense de Géorgie